

შპს ჯი თი ეს ელექტრონიკსი

ს/ნ 205029351

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	5
ფულადი ნაკადების ცვლილებების ანგარიშგება	6
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	7
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	8
ძირითადი საქმიანობა	8
ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა	8
ფული და ფულის ექვივალენტები	11
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11
სასაქონლო მატერიალური მარაგები	12
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12
საგადასახადო ვალდებულებები	13
შემოსავალი	13
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	13
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	13
სხვა შემოსულობა/ზარალი	13
კაპიტალი	13
COVID-19 -ის გავლენა კომპანიის საქმიანობაზე.....	14
საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები	14

შპს ჯი თი ეს ელექტრონიკსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ქართულ ლარში)

	2021	2020	2019
<i>მიმდინარე აქტივები</i>			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	871454	529291	243183
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	361 264	328 277	613 035
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	109 461	38 787	64 552
სხვა მოკლევადიანი აქტივები	398	373	320
საბიუჯეტო გადასახადები	36 367	18 888	
სულ მიმდინარე აქტივები	1 378 944	915 616	921 090
<i>სასაქონლო მატერიალური მარაგი</i>			
საქონელი	633 966	599 210	405 547
ნედლეული და მასალები	379 698	390 506	327 311
საოფისე მასალები და ინვენტარი	6 465	5 826	7 081
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგი	1020 129	995 542	739 939
<i>გრძელვადიანი აქტივები</i>			
მიწის ნაკვეთები	286 450	286 450	286 450
შენობები	95 721	101 460	107 198
მანქანა-დანადგარები	68 517	76 608	78 572
ოფისის აღჭურვილობა	42 273	57 873	58 239
ავეჯი და სხვა ინვენტარი	660	1 122	1 648
სატრანსპორტო საშუალებები	40 454	30 019	23 421
არამატერიალური აქტივები	1 177	861	1 484
ლიზინგით მიღებული ქონება	145 603	145 603	145 604
სულ გრძელვადიანი აქტივები	680 855	699 996	702 616
სულ აქტივები	3 079 928	2 611 154	2 363 645

მიმდინარე ვალდებულებები

მოწ. და მომსახ. წარმოქმნილი

ვალდებულებები	368 052	415 527	535 455
მიღებული ავანსები	437 371	327 082	135 734
მოკლევადიანი სესხები	637 677	809 367	803 431
საგადასახადო ვალდებულებები			28 507
გადასახდელი პროცენტი	11	11	
გადასახდელი დივიდენდები	349 311	261 205	164 152
სულ მიმდინარე ვალდებულებები	1 792 422	1 813 192	1 667 279

გრძელვადიანი ვალდებულებები

სალიზინგო ვალდებულება

სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	70 944	98 150	125 355
	70 944	98 150	125 355

საკუთარი კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი

გაუნაწილებელი მოგება	2 000	2 000	2 000
სულ საკუთარი კაპიტალი	1214 562	697 812	569 011
	1216 562	699 812	571 011

სულ კაპიტალი და ვალდებულებები

3 079 928	2 611 154	2 363 645
-----------	-----------	-----------

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით

ფინანსური დირექტორი ლ. სმოტროვა

ლ. სმოტროვა

თბილისი, საქართველო

01 აპრილი 2022 წელი

შპს ჯი თი ეს ელექტრონიკსი

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ქართულ ლარში)

	2020	2021
ამონაგები ძირითადი საქმიანობიდან	4 293 593	4 639 936
რეალიზებული პროდუქციის	-2 781 765	-2 993 306
თვითღირებულება		
საერთო მოგება	1 511 828	1 646 630
საოპერაციო ხარჯები	-864 855	-872 898
საწარმოო ხარჯები	-358 467	-321 462
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	-447 975	-422 635
მიწოდების ხარჯები	-58 413	-128 801
საოპერაციო მოგება	646 973	773 732
არასაოპერაციო შემოსავალი და ხარჯი	-207 867	-49 675
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	22 032	20 079
ძირითადი საშუალების რეალიზაცია	-102	320
საპროცენტო ხარჯები	-59 028	-54 142
საკურსო სხვაობა	-160 856	21 375
კონვერსიის სხვაობა	-2 459	-9 730
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	-7 454	-27 577
წმინდა მოგება (ზარალი)	439 106	724 057
მოგების გადასახადი	-31 988	-31 096
წმინდა მოგება (ზარალი)	407 118	692 961

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით

ფინანსური დირექტორი ლ. სმოტროვა

ლ. სმოტროვა

თბილისი, საქართველო

01 აპრილი 2022 წელი

შპს ჯი თი ეს ელექტრონიკსი

ფულადი ნაკადების ცვლილებების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ქართულ ლარში)

ფულადი სახსრების მოძრაობა

	2021	2020
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	529291	243183
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი წმინდა ფულადი ნაკადები	532375	568125
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი წმინდა ფულადი ნაკადები	-81348	-83860
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი წმინდა ფულადი ნაკადები	-97450	-196223
სავალუტო კურსის ეფექტი	-11414	-1934
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	871454	529291

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით

ფინანსური დირექტორი ლ. სმოტროვა



თბილისი, საქართველო

01 აპრილი 2022 წელი

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2019 წლის 31 დეკემბერი	2 000		569 011	571 011
წმინდა მოგება			407 118	407 118
სხვა სრული შემოსავალი				
გაცემული დივიდენდი			-278 317	-278 317
საწესდებო კაპიტალის ზრდა				
2020 წლის 31 დეკემბერი	2 000		697 812	699 812
წმინდა მოგება			692 961	692 961
სხვა სრული შემოსავალი				
გაცემული დივიდენდი			-176 211	-176 211
საწესდებო კაპიტალის ზრდა				
2021 წლის 31 დეკემბერი	2 000		1 214 562	1 216 562

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით

ფინანსური დირექტორი ლ. სმოტროვა *ლ. სმოტროვა*

თბილისი, საქართველო

01 აპრილი 2022 წელი

შპს ჯი თი ეს ელექტრონიქსი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ქართულ ლარში)

1. ძირითადი საქმიანობა

შპს ჯი თი ეს ელექტრონიქსი (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო, რომელიც დაფუძნდა 2004 წლის 13 მაისს.

კომპანიის მფლობელობა წარმოდგენილია შემდეგი სახით

	2021 წელი	2020 წელი
ქეთევან ჯილაური	25%	25%
მზია მურთაზაშვილი	25%	25%
დავით ქოჩიაშვილი	50%	50%

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა სამრეწველო ტექნიკის და სხვა ელექტრონული მოწყობილობების შეძენა, წარმოება, მონტაჟი და რეალიზაცია.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს სტანდარტი) შესაბამისად.

არსებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს 2021 წლების 31 დეკემბერს დასრულებული სრული შემოსავლის ანგარიშგებას. 2020 და 2021 წლების 31 დეკემბერს დასრულებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებებს. საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას, ფულადი ნაკადების ანგარიშგებას და ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებს.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით. ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში, რომელიც ამავე დროს წარმოადგენს კომპანიის ფუნქციურ ვალუტას.

მსს ფასს-ის პირველადი გამოყენება

ეს ფინანსური ანგარიშგება, მომზადებული 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. შესაბამისად, კომპანიამ მოამზადა ფინანსური ანგარიშგება, რომელიც შეესაბამება მსს ფასს-ს, მოქმედს 2021 წლის 31 დეკემბერს ან შემდეგ დასრულებული პერიოდებისთვის, 2020 წლის 31 დეკემბრის შესადარისი პერიოდის მონაცემებთან ერთად. ამ ანგარიშგების მომზადებისას, კომპანიის საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მომზადდა 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

ფუნქციონირებადი საწარმო

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე. კომპანიის მოგებამ 2021 წელს შეადგინა 692961 ლარი. 2020 წლის მოგებას აღემატება 285843 ლარით, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კომპანია თავისი ვალდებულებების გადახდისუნარიანია და შეუძლია საქმიანობის გაგრძელება.

ამონაგების აღიარება

ამონაგების საქონლის რეალიზაციიდან აღიარდება მაშინ, როცა მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები თანხის რეალური ღირებულებით, ფასდათმობისა და რეალიზაციასთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) გამოკლებით.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის დასრულებისათვის არსებული კანონმდებლობის შესაბამისად. საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შეიცვალა კომპანიების დაბეგვრის ადრე არსებული მოდელი, რომელიც ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. განახლებული საკანონმდებლო ბაზის მიხედვით კომპანიას არ უწევს მოგების გადასახადის გადახდა, სანამ არ მოხდება მოგების განაწილება დივიდენდების გატანით ან სხვა ფორმით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ერთეულები ფასდება თავდაპირველი ღირებულებით, დაგროვილი ცვეთის და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ღირებულება მოიცავს ნასყიდობის ფასს, იმპორტის მოსაკრებლის და არანაზღაურებადი შემენის გადასახდების და სხვა პირდაპირ მიკუთვნებული გადასახადების ჩათვლით. როდესაც ძირითადი საშუალების ერთეული შეადგენს მთავარ კომპონენტებს, რომელსაც აქვს ექსპლუატაციის სხვადასხვა ვადა, ისინი ითვლება, როგორც ცალკეული ძირითადი საშუალების ერთეული.

აქტივებისათვის, ამორტიზაცია ირიცხება იმგვარად, რომ აქტივების ღირებულება განაწილდეს მათი გეგმიური საექსპლუატაციო ვადის ზემოთ ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, წრფივი მეთოდის გამოყენებით. შემდეგი საექსპლუატაციო ვადები გამოიყენება ძირითადი საშუალებების ცვეთისათვის:

ძირითადი საშუალების ჯგუფი	სასარგებლო პერიოდის ვადა
შენობა-ნაგებობები	35 წელი
მანქანა-დანადგარები	5-10 წელი
ავტო სანტრასპორტო საშუალებები	10-15 წელი
კომპიუტერული და ელექტრონული მოწყობილობები	3-5 წელი
ავიჯი და სხვა ინვენტარი	5-10 წელი

ძირითადი საშუალების ერთეული ჩამოიწერება ლიკვიდაციისას ან როდესაც მისი გამოყენების ან გასხვისებისგან აღარ არის მოსალოდნელი სამომავლო ეკონომიკური სარგებელი. ნებისმიერი მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა აქტივის ჩამოწერისას (გაანგარიშებული, როგორც სხვაობა განკარგვის წმინდა შემოსავალსა და აქტივების საანგარიშო ღირებულებას შორის) შედის მოგება-ზარალის ანგარიშში, როდესაც აქტივი ჩამოიწერება.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივების ძირითად ნაწილი კომპანიის მიერ შეძენილი ლიცენზიები და საბუღალტრო პროგრამული უზრუნველყოფაა, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით.

სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდის საფუძველზე.

სავაჭრო მოთხოვნები

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სავაჭრო მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების გაანალიზება იმის დასადგენად, ხომ არ არსებობს რაიმე ობიექტური მტკიცებულება, რომ ეს თანხები არ ექვემდებარება ამოღებას. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. კომპანიას ამას გარდა აქვს პოლიტიკა ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანების შეფასებისა, რის მიხედვითაც გამოანგარიშებული თანხები ექვემდებარება საექვო მოთხოვნების რეზერვებში აღრიცხვას, კერძოდ 360 დღემდე ვადაგადაცილებული თანხები ექვემდებარება 100 % - ით დარეზერვებას.

სავაჭრო ვალდებულებები

აღნიშნული ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება კომპანიის ფულად ერთეულში (ლარში), საანგარიშო თარიღისათვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით მიღებული შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსულობა/ზარალში.

კომპანიას არ გააჩნია დიდი რაოდენობით დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები.

3. ფული და ფულის ეკვივალენტები

	<u>31 დეკემბერი 2021წ</u>	<u>31 დეკემბერი 2020წ</u>
ფული და ფულის ეკვივალენტები	871 454	529 291
სულ	871 454	529 291

ნაღდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს როგორც არასარიცხო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას საბანკო ანგარიშები აქვს არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

4. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

კომპანიის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2021 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის შემდეგი:

	<u>31 დეკემბერი 2021წ</u>	<u>31 დეკემბერი 2020წ</u>
სავაჭრო მოთხოვნები	361 264	328 277
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	398	320
სხვაპირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	109 461	38 787
სულ	471 123	367 437

მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ უმნიშვნელოა, ვინაიდან გადახდები შესყიდვებსა და სამეურნეო ხარჯებზე ხორციელდება საბანკო ოპერაციებით. მოკლევადიანი მოთხოვნები სტაბილურია, მიუხედავად იმისა, რომ გასულ წელთან შედარებით გაზრდილია რეალიზაციის თანხა.

5. სასაქონლო მატერიალური მარაგები

	<u>31 დეკემბერი 2021წ</u>	<u>31 დეკემბერი 2020წ</u>
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგი	1 020 129	995 542

ძირითად სასაქონლო-მატერიალურ მარაგებს იმპორტირებული საქონელი შეადგენს. მარაგების რაოდენობა 2021 წელს გაიზარდა მიმდინარე წელს შესყიდული საქონლის ხარჯზე.

6. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

კომპანიის სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2021 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	<u>31 დეკემბერი 2021წ</u>	<u>31 დეკემბერი 2020წ</u>
მოწ.და მომსახ.წარმოქმნილი ვალდებულებები	368 052	415 527
მიღებული ავანსები	437 371	327 082
მოკლევადიანი სესხები	637 677	809 367
გადასახდელი პროცენტი	11	11
<u>გადასახდელი დივიდენდები</u>	<u>349 311</u>	<u>261 205</u>
სულ მიმდინარე ვალდებულებები	1 792 422	1 813 192

2021 წელს შემცირდა მოწოდებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები, მიუხედავად იმისა, რომ გაიზარდა შესყიდული სასაქონლო-მატერიალური მარაგების რაოდენობა.

7. საგადასახადო ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2021წ	31 დეკემბერი 2020წ
საგადასახადო ვალდებულებები	-36 367	-18 888
სულ	-36 367	-18 888

საბიუჯეტო გადასახადების ზედმეტობა ფინანსურ ბალანსში გამოწვეულია საქონლის მიწოდებამდე საავანსოდ შემოტანილი თანხების საგადასახადო მიზნებისათვის წინასწარ დაბეგვრის მიზეზით.

8. შემოსავალი

კომპანიის შემოსავალის უდიდესი ნაწილი შედგება საწარმოო მნიშვნელობის ელექტროტექნიკის გაყიდვიდან მიღებული თანხებიდან. გარდა ამისა კომპანიას გააჩნია შემოსავლები ტექნიკური მოწყობილობების რემონტის და მონტაჟის მომსახურებიდან.

9. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება მოიცავს ნედლეულისა და მასალების დანახარჯებს, თანამშრომლზე გაცემულ ხელფასებსა და ტრანსპორტირების ხარჯებს.

10. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების უდიდესი ნაწილი უკავშირდება გაცემულ შრომით ანაზღაურებას. ვინაიდან ძირითად სასაქონლო-მატერიალურ მარაგს წარმოადგენს იმპორტირებული საქონელი, ხარჯებში დომინირებს მივლინებისა და კომუნიკაციის ხარჯები. მნიშვნელოვანია ოფისის მომსახურებისა და დაცვის უზრუნველყოფის ხარჯები.

11. სხვა შემოსულობა/ზარალი

2020 და 2021 საანგარიშგებო წლებში კომპანია იყო მომგებიანი.

12. კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი შედგება საწყისი საწესდებო კაპიტალისა და გაუნაწილებელი მოგებისაგან.

13. COVID-19- ის გავლენა კომპანიის საქმიანობაზე

2020 წელს COVID 19 -პანდემიით გამოწვეული სახელმწიფო რეგულაციების გამო, საქართველოში მოქმედი კომპანიების უმრავლესობა დადგა ფუნქციონირებადი საწარმოს შეწყვეტის საფრთხის წინაშე. 2021 წელს გაიზარდა რეალიზაციის მოცულობა და მოსალოდნელია შემდგომ წლებში კიდევ უფრო გაიზარდოს შპს ჯი თი ეს ელექტრონიკის საქმიანობა.

14. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშო პერიოდის შემდგომ არ მომხდარა ისეთი მოვლენები, რომლებიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით

ფინანსური დირექტორი ლ. სმოტროვა



თბილისი, საქართველო

01 აპრილი 2022წელი